

ყოფს. ბევრისთვის ლექსიკონს არა მხოლოდ გამოყენებითი, არამედ გონებრივი საზრდოს და, ასე გასინჯეთ, ესთეტიკური კმაყოფილების მიმცემი დანიშნულება აქვს; და, მით უმეტეს, თუ ადამიანს იზიდავს ფილოსოფიური ტექსტები, ამ ლექსიკონში იგი პოვებს საკმოდ ვრცელ ამონარიდებს ტრაქტატებიდან, სადაც ესა თუ ის ტერმინი ცოცხლობს.

ამ პროექტის, როგორც დღეს უწოდებენ, წარმატება მრავალწილად განპირობებულია მისი ავტორისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის, პროფ. დამანა მელიქიშვილის საერთო წარმატებით იმ დარგში, რომელშიც იგი მრავალი წელი ნაყოფიერად იღვწის. და ეს დარგი ორმხრივია, ორი ასპექტი აქვს: ენობრივი და ფილოსოფიური; ორი ეს მხარე გადაწულია ერთმანეთთან, უფრო მეტი: ისინი მსჭვალავენ ერთურთს. შემოქმედებითი გრამატიკული ანალიზის გარეშე ძნელია შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფოსების მნათობის – პეტრიწის სამყაროში შესვლა და, პირუკუ, ნეობლატონური სისტემა აადვილებს რთულ სინტაქსში შეღწევას და ლექსიკური ინოვაციების წვდომას. ამ სინთეზის შედეგია, გარკვეულწილად, ეს ლექსიკონი. სავსებით ბუნებრივია, რომ თავად პეტრიწის ლექსიკას, როგორც განსაკუთრებულ ფენომენს, დანართის სახით განკერძოებული ადგილი მიეჩინა ლექსიკონში (II ტ. გვ. 269-310).

ლექსიკონი გამოიცა „რუსთაველის ფონდში“ მოპოვებული გრანტით და, როგორც მესვეურები აღნიშნავენ, მისი მხარდაჭერის გარეშე, პროექტის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა. ეროვნული სამეცნიერო ფონდის გადარიბების პირობებში მართლაც გაჭირდება პროექტის ბოლომდე განხორციელება. მაგრამ იმედს ვიტოვებთ, რომ ესოდენ მნიშვნელოვანი წამოწყება ბედის ანაბარა არ დარჩება.

ზ. კ.

*Cultural paradigms and political change in the Caucasus, ed. by Nino Tsit-sishvili. Saarbrücken: Lambert Academic Publishing, 2010, 306 p.*

**სკულტურული პარადიგმები და პოლიტიკური ცვლილებები კავკასიაში, რედაქტორი ნინო ციციშვილი. საარბრუკენი, 2010, 306 გვ.]**

2010 წლის ნოემბერში გამოვიდა წიგნი სათაურით „სკულტურული პარადიგმები და პოლიტიკური ცვლილებები კავკასიაში,“ ინგლისურ ენაზე. ეს არის ანთოლოგია, რომელიც დაიბეჭდა გერმანიაში ლამბერტ აკადემიკ პაბლიშინგის (Lambert Academic Publishing) მიერ. წიგნის პრეზენტაცია შედგა მელბურნში, მონაშის უნივერსიტეტის კონსერვატორიაში უნივერსიტეტის ვიცე-რექტორის მიერ 2010 წლის 25 ნოემბერს.

ეს კრებული-ანთოლოგია იმითაა საინტერესო და გამორჩეული, რომ მასში შესული თავები დაიწერა სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა მიერ. მათ

შორის არიან საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე მკვლევრები, რომელთაც ქართული სამეცნიერო საზოგადოება კარგად იცნობს. წიგნი ეძღვნება კავკასიის სხვადასხვა ერში ტრადიციული კულტურისა და თანამედროვე პოლიტიკური ცვლილებების ურთიერთმიმართების ანალიზს. წინამდებარე სტატია წარმოადგენს წიგნის **კულტურული პარადიგმები და პოლიტიკური ცვლილებები კავკასიაში** შესავალი თავის შემოკლებულ და გადამუშავებულ ვარიანტს. შესავალში, რომლის ავტორიც ნინო ციციშვილია, განმარტებულია ანთოლოგიის სამეცნიერო-ფილოსოფიური ჩანაფიქრი და ძირითადი დებულებები. მასში აგრეთვე წარმოდგენილია თითოეული თავის კვლევის შედეგების განზოგადება.

ცნობილია, რომ კავკასია ძალზე რთული და მრავალფეროვანი რეგიონია როგორც პოლიტიკის, ასევე კულტურის თვალსაზრისით. ეს არის რეგიონი, სადაც ძირძველი წარმართული რიტუალური პრაქტიკა და ტრადიციული მორალური კოდები შერწყმულია ადამიანთა უფლებების დაცვისა და დემოკრატიული სტრუქტურების და მენტალიტეტის თანამედროვე კონცეფციების დანერგვასთან. ახალგაზრდული კულტურა სულ უფრო და უფრო მდიდრდება დასავლური სტანდარტებით. მოკლედ რომ ვთქვათ, კავკასიაში თანამედროვე პოლიტიკური ცვლილებები დასავლური უაიდის დემოკრატიის, მათ შორის ლიბერალიზმის, მძლავრი გავლენით მიმდინარეობს.

წიგნის ერთ-ერთი მიზანი ისიც არის, რომ განიხილოს კავკასია ისეთი დაპირისპირებული კატეგორიების კონტექსტში, როგორიცაა „პროგრესული“ და „სტატიკური“, „პრაგმატული“ და „არაპრაგმატული“, „ინდივიდუალისტური“ და „კოლექტიური“ საზოგადოებები. ჰარისონმა და ჰანტინგტონმა [ჰარისონი... 2000] ძალიან საინტერესო, თუმცა საკამათო ზღვარი გაავლეს „პროგრესული“ და „სტატიკური“ კულტურის ტიპებს შორის. მათ სქემაში „პროგრესული“ კულტურები ის კულტურებია, რომლებიც ორიენტირებულია ახლო მომავალზე, ხოლო „სტატიკური“ ის კულტურები რომლებიც ფოკუსირებულია წარსულსა და შორეულ მომავალზე. კავკასიაში კულტურებისა და პოლიტიკის ურთიერთობის შესწავლისას ასეთი განსხვავება მეთოდოლოგიურად და იდეურად გამოსადეგია, თუმცა არ დავთანხმები იმას, რომ კულტურა შეიძლება მხოლოდ სტატიკური იყოს და პროგრესის არავითარ ელემენტებს არ შეიცავდეს, ანდა პირიქით.

დღევანდელ მსოფლიოში ნელ-ნელა იცვლება შეხედულებები იმის შესახებ, თუ რა არის პრაგმატული და რამდენად არის პრაგმატიზმი და ინდივიდუალიზმი ცალკეულ ადამიანთა თუ მთელ საზოგადოებათა კეთილდღეობის საწინდარი. დარვინის ბუნებრივი შერჩევის და მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის ევოლუციური მეცნიერების განვითარების ერთ-ერთი შედეგი ის იყო, რომ კონკურენცია, დომინაცია, ინდივიდუალიზმი და პრაგმატიზმი ადამიანთა შორის კოოპერაციასა და ალტრუიზმზე, ანუ, ეგრეთ წოდებულ არაპრაგმატული ცხოვრების წესზე მალლა დააყენეს. დღეს ასე-

თი შეხედულებები იცვლება და ადამიანთა საზოგადოების განვითარებაში კოოპერაციას მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ, რადგან კოოპერაციას და ალტრუიზმს, როგორც ჩანს, პირდაპირი და არაპირდაპირი სარგებელი მოაქვს როგორც ინდივიდისათვის, ასევე ჯგუფისათვის [ვესტი... 2006]. ამ მხრივ ასეთი ჯგუფური „სტატიკური“ საზოგადოებებიც შეიძლება პრაგმატულად ჩაითვალოს.

კავკასიაში კულტურისა და ტრადიციის კავშირი ეროვნულ კოლექტიურ მეობასთან, როგორც ძველ, ისე ახალ თაობებში აშკარად შეინიშნება. მიუხედავად იმისა, რომ მოდერნიზაცია და საზოგადოების პროგრესი სოციალისტური გეგმის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა, ძველი, პრეინდუსტრიული წეს-ჩვეულებები საბჭოთა კავშირის ბევრ ხალხებში შემორჩა. ასეთი ერთგულება წინაპართა კოლექტიური ტრადიციებისადმი თითქოს არაპრაგმატულია: რა ხეირია იმაში, რომ კილომეტრები ფეხით გაიარო იმისათვის, რომ წმინდანს ან ხატს პატივი მიაგო, საკლავი შესწირო და დაილოცო? ანდა გამართო სუფრა მეგობრებისა და ნათესავებისათვის, რომლის მომზადებაც ენერჯისა და დროის დიდ ნაწილს წაგართმევს და პრაქტიკულად არაფერ სარგებელს არ მოგიტანს? აქ უნდა შევნიშნოთ, რომ სუფრები, რა თქმა უნდა, პრაქტიკული მიზნითაც იმართებოდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი განსაზღვრავს უველა სუფრის თავდაპირველ ფუნქციას. როგორც ჩანს, მზარდი ინდივიდუალიზმის, ინდუსტრიალიზაციისა და სუბკულტურებად დაყოფის პირობებში კოლექტიური კულტურა ჯგუფის იდენტურობის გადარჩენისა და ერთიანობის საწინდარიც იყო. ამ საკითხს, „პროგრესული“ და „სტატიკური“, „პრაგმატული“ და „არაპრაგმატული“ კულტურების შედარებას ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით.

წიგნის სათაურში ორი მნიშვნელოვანი მოდელია ნახსენები: „კულტურული პარადიგმები“ და „პოლიტიკური ცვლილებები.“ პირველი გულისხმობს სწორედ კოლექტიური მეხსიერების, წარსულის მეხსიერების, რელიგიური რიტუალებისადმი და წეს-ჩვეულებებისა და წინაპართაგან გადმოცემული ფასეულობებისადმი ერთგულების შენარჩუნებას კავკასიის რეგიონში. „პოლიტიკური ცვლილებები“ კი მიუთითებს იმაზე, რომ, მიუხედავად ასეთი კულტურული მდგრადობისა, რეგიონში ინტენსიურად მიმდინარეობს ახალი ფასეულობების, ქცევის ნორმების, პოლიტიკური მართვის სისტემების, პოლიტიკური იდეოლოგიებისა და განათლების სისტემების დანერგვა, ან უკიდურეს შემთხვევაში, დანერგვის მცდელობა.

ამ საკითხების კვლევისას ჩვენ ავირჩიეთ საერთაშორისო ისტორიის შესწავლაში ერთ-ერთი მიღებული გეზი, ეგრეთ წოდებული „კულტურალისტური“ მიდგომა, რომლის მიხედვითაც პოლიტიკა და პოლიტიკური ცვლილებები არ არის დამყარებული მხოლოდ რაციონალურ და პრაგმატულ აზროვნებაზე, არამედ იმყოფება კულტურაში მიღებული რწმენა-წარმოდგენების გავლენის ქვეშ [ჯექსონი 2008]. ამიტომ მოსალოდნელია, რომ კავკასიის ხალხების დღევანდელი პოლიტიკა ეყრდნობა ადგილობრივ პოლიტი-

კურ კულტურას: ერების ფასეულობებს, საკუთარი თავისა და მეზობელი ერების შესახებ ისტორიულად ჩამოყალიბებულ შეხედულებებსა და ისტორიულ გამოცდილებას.

კულტურისა და პოლიტიკის ურთიერთობის განხილვისას მრავალ კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ პრობლემასაც ვაწყდებით. ერთ-ერთი მათგანია თვით კულტურის, როგორც მოვლენის, განსაზღვრა. ძნელია, გამოყო კულტურა ადამიანის სხვა საქმიანობებიდან, რადგან კულტურა ყველაფერშია, თუმცა გასაზიარებელია ის მოსაზრებაც, რომ მაინც აუცილებელია პოლიტიკური მეცნიერების კულტუროლოგიისგან გამიჯვნა [სტავროპულოსი 1996:33]. ზოგადი გაგებით, პოლიტიკა ეხება პრაგმატიზმს ძალაუფლებრივი ურთიერთობების რეგულირებას და სახელმწიფოებისა და საზოგადოებების ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ მართვას, ხოლო კულტურა ამ პოლიტიკური სტრუქტურების ზედნაშენად არის წარმოდგენილი – ფასეულობების, რწმენებისა და სიმბოლოების არაპრაგმატული სამყარო. მიუხედავად ამისა, მკვლევრები ყოველთვის სწავლობენ ამ ორის ურთიერთობას. ხშირად სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ნაკლებობის პირობებში კულტურა იმავე პოლიტიკის ფუნქციას ასრულებს: ფასეულობები და მათზე აღმოცენებული წეს-ჩვეულებები საზოგადოების მართვას და საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთობების რეგულირებას ემსახურება. 1970-იანი წლებიდან მართლაც შეინიშნება კულტურის, როგორც ინტერპრეტაციული ანალიზის, მეთოდის გამოყენება პოლიტიკის შესწავლაში [ჯექსონი 2008:157; ბურკი 2004]. ასეთი მიდგომა ითვალისწინებს იმას, რომ პოლიტიკა თავად არის აღმოცენებული გარკვეული კულტურის პრაქტიკის წიაღში და მათი გამიჯვნა შეუძლებელია. ასევე კულტურული ანთროპოლოგები კულტურას განიხილავენ როგორც პოლიტიკის სფეროს: კულტურაში მიმდინარე პოლიტიკა – ძალაუფლებრივი, გენდერული თუ სხვა, დიდი ხანია ეთნოლოგთა ყურადღების ცენტრშია. ასეთი დამთხვევები პოლიტიკას და კულტურას შორის განაპირობებს წინამდებარე წიგნის კვლევის მიმართულებასაც.

### **კულტურის ტიპები და პოლიტიკური ზედნაშენები**

კულტურასა და პოლიტიკას შორის არსებული ურთიერთკავშირების განხილვის საფუძველზე თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკა, შესაძლოა, თავად არის კულტურის ზედნაშენი და რომ პოლიტიკის ტიპს ადგილობრივი კულტურის ტიპი განსაზღვრავს.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, ბევრ საზოგადოებაში კულტურა ასრულებს პოლიტიკის ფუნქციას. ასეთი აზრი გამოითქვა პოლიტიკურ მეცნიერებაში სხვადასხვა ტიპის ნაციონალიზმების შესწავლისას. ამ მოსაზრების მიხედვით, იმ საზოგადოებების ნაციონალურ მართვაში, რომელთაც არ გააჩნიათ სამოქალაქო საზოგადოება, ირაციონალური „არქაული“ ელემენტები (ანუ

რასაც ხშირად ტრადიციული კულტურა ეწოდება) ჭარბობს<sup>1</sup>. მაგალითად, გაიწვიოს რედაქტორობით გამოსული წიგნი „სუფრა და სამოქალაქო საზოგადოება“ [წოდია 2000] იმას ასაბუთებს, რომ სუფრის რიტუალი სამოქალაქო საზოგადოების სუროგატულ მოდელს წარმოადგენდა.

მაშინ შეიძლება ითქვას, რომ კულტურა, როგორც პოლიტიკა, დამახასიათებელია ისეთი საზოგადოებებისათვის, რომელთაც ჰარისონი და ჰანტიგ-ტონი [2000] „სტატიკურ“ საზოგადოებებს უწოდებენ. ასეთ საზოგადოებებში მდგრადი ტრადიციები, ოჯახური და ნათესაური სისტემების სიძლიერე საზოგადოების წევრებს აძლევს სოციალური სიმშვიდის, უსაფრთხოებისა და საზოგადოებაში თანამონაწილეობის შეგრძნებას, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ საზოგადოებამ ნორმალურად იარსებოს თაობების მანძილზე. ამ თვალსაზრისით „კულტურა“ პოლიტიკური ლიდერობის, მმართველობისა და სოციალური წესრიგის შენარჩუნების საშუალებაა.

„სტატიკური“ კულტურის მაგალითია ქართული სარიტუალო-სამკურნალო სიმღერა „იავნანა“, რომელიც კვინ თუითის სტატიაშია განხილული, როგორც სოციალურ-პოლიტიკური კომენტარი თანამედროვეობაზე. მიუხედავად ცვლილებისა ამ ჟანრში, მაინც სახეზეა კულტურის სტატიკური ელემენტი. სტატიკურობის შენარჩუნებას ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, „იავნანას“ შემსრულებელთა სქესიც განსაზღვრავს. სამოქალაქო მმართველობისაგან მოცილებულთ – ქალებს ტრადიციული ჟანრის, „იავნანას“ შესრულებით საზოგადოებაში მონაწილეობისა და მასზე კომენტარის გაკეთების საშუალება ეძლევათ.

პროგრესი კულტურაში მაშინ ხორციელდება, როცა ახალი ბიძგის შედეგად ახალი მიმართულებები წარმოიქმნება. ქართულ მრავალხმიან სიმღერაში ასეთი ბიძგი ალბათ მრავალი იყო, მაგრამ ჩვენ თანამედროვეობაზე შევჩერდებით. ანსამბლი „შინ“ სწორედ ქართული მრავალხმიანობის ახლებური განვითარების მაგალითია ფოლკლორისა და ჯახის შერწყმის გზით, რაც განხილულია ლორენ ნინოშვილის სტატიაში. რამდენად ორგანულია (ბუნებრივი) ასეთი სინთეზი, ამას დრო უჩვენებს. ხომ არ არის ადგილობრივისა და დასავლურის შერწყმის ძიება დამახასიათებელი პატარა ერებისათვის, რომლებიც ძლიერ მფარველს ეძებენ? როგორც არ უნდა იყოს, ერთი რამ მაინც ფაქტია: ქართული მრავალხმიანობა ამ შემთხვევაში არ იკარგება და, პირიქით, უფრო ვრცელდება და შედის კონტაქტში სხვა, უცხო მუსიკალურ სტილებთან, რაც ადგილობრივი და დასავლური კულტურების თანაარსებობის შესაძლებლობაზე მეტყველებს.

„სტატიკური“ კულტურები დასავლური პრაგმატიზმის თვალთახედვიდან ხშირად არაპრაგმატულები არიან. მაგრამ შიდა თვალთახედვიდან მათი „სტატიკურობა“ და „არაპრაგმატულობა“ ემსახურება იმას, რომ მოცემული საზოგადოება გადარჩეს და მომავალში პროგრესის საშუალებაც

1 იხ. [http://www.georgefox.edu/academics/undergrad/departments/soc-swk/ree/Peachey\\_Rethinking.html](http://www.georgefox.edu/academics/undergrad/departments/soc-swk/ree/Peachey_Rethinking.html)

მიეცეს, ე.ი. „სტატიკურობა“ კულტურას და საზოგადოებას ძლიერი მტრები-საგან თავდასაცავად და მეობის შესანარჩუნებლად სჭირდება. მაშასადამე, ასეთი „სტატიკური“ კულტურა პრაგმატულ მიზანს ემსახურება. ავიღოთ თუნდაც ალკოჰოლის სმის კულტურა დასავლეთსა და კავკასიაში. დასავლეთში დაღვევა დასვენების (მოშვებისა და პრობლემების დავიწყების) და ზოგჯერ მიკროდონეუ სოციალური ურთიერთობის ფორმაცაა. კავკასიაში კი სმის რიტუალური კონტექსტი ემსახურება საზოგადოების გარკვეული ნაწილის ფასეულობების დამკვიდრების, გადაცემისა და ჯგუფური ერთობის გამყარების მიზანს. საინტერესოა, რომ მსგავს საუკუნეობრივ ტრადიციებზე დამყარებულ „არაპრაგმატულ“ პრაქტიკას უფრო დიდი სულიერი ზეგავლენის უნარი აქვს, ვიდრე იმ ჩვეულებებს, რომლებიც ყოველდღიური პრაგმატული საჭიროებიდანაა ამოზრდილი. მაგალითად, დასავლეთში ომის ან გლობალური დათბობის წინააღმდეგ გამართულ დემონსტრაციებს არა აქვთ ისეთი ერთიანობის შექმნის უნარი, როგორც ეროვნული, ჯგუფური მეობის შენარჩუნებისათვის გამართულ დემონსტრაციებს, ისეთებს, როგორც იყო თბილისში რუსეთის აგრესიის საწინააღმდეგო აქციები ან ჩეჩენთა ბრძოლა რუსეთის დამპყრობლური და გენოციდური პოლიტიკის წინააღმდეგ.

ასე რომ, კულტურის განსახლვრა როგორც სტატიკურისა, არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ მასში არაფერი პრაქტიკული (პრაგმატული) არ ხდება. პირიქით, სტაბილური და ძლიერი პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურების უქონლობის პირობებში პრაგმატიზმი და რაციონალიზმი „სტატიკურ“ კულტურებში დაყვანილია მინიმალური ეკონომიკური და ფიზიკურ-სოციალური უსაფრთხოების მიღწევის დონეზე, რისი გარანტიც არის ჯგუფური ერთობა და ურთიერთდახმარება. ამის ერთ-ერთი საუკეთესო გზა კი არის, როგორც ჩანს, წინაპართაგან გადმოცემული წეს-ჩვეულებების შენარჩუნება, მაღალი სოციალური კონფორმიზმი, ანტიინდივიდუალიზმი (პიროვნული ავტონომიის ნაკლებობა) და მობილურობისა თუ სოციალური სიახლეების თავიდან აცილება.

ამ აზრს მივყავართ კიდევ ერთი გამარტივებული დუალიზმისაკენ, რომ თითქოს კოლექტიურობა ახასიათებს არადასავლურ პრეინდუსტრიულ კულტურებს, ხოლო ინდივიდუალიზმი/ავტონომია კი – დასავლურ საზოგადოებებს. რა თქმა უნდა, ყოველ კულტურას და საზოგადოებას ახასიათებს როგორც ინდივიდუალიზმი, ისე კოლექტიურობა. ორივე ადამიანური მოდემის განუყოფელი თვისებაა, თუმცა, თუ დავაკვირდებით ამ ორი ნიშნის – ჯგუფური და ავტონომიური ფაქტორების – ურთიერთობას, შესაძლოა, დავინახოთ, რომ „სტატიკურ“ და „პროგრესულ“ საზოგადოებებში ჯგუფურობასა და ავტონომიურობა/ინდივიდუალიზმს შორის, შესაბამისად, სხვადასხვა ურთიერთმიმართება არსებობს. მაგალითად, კოლექტივიზმი კავკასიაში უფრო პირადულ და საოჯახო დონეზე ვლინდება, ხოლო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ინდივიდუალიზმისა და ავტონომიისკენ

სწრაფვა უფრო ძლიერია. დასავლეთში კი – პირიქით: ინდივიდუალიზმი საოჯახო პირადული ცხოვრების განმსაზღვრელია, სადაც დიდი ნათესაური გაერთიანებები და კომუნალური კოალიციები ნაკლებია, პოლიტიკურ მმართველობაში კი კოლექტიური მიდგომა მეტია. უფრო ხუსტად რომ ვთქვათ, დასავლეთში საზოგადოებრივ პოლიტიკაში მეტი კოოპერაციაა, რაც ალბათ ძლიერი დემოკრატიული ინსტიტუტების არსებობითაც უნდა აიხსნას, ხოლო „აღმოსავლეთსა“ და კავკასიაში ამ შემთხვევაში კოოპერაცია საოჯახო და ნათესაურ-კლანურ კონტექსტში უფრო მეტია, ვიდრე თანამედროვე მმართველობის სტრუქტურებში, რაც, შესაძლოა, აქ დემოკრატიის ტრადიციების ნაკლებობითაა გამოწვეული.

მაგალითისათვის მოვიყვან ალექსანდრე ისკანდარიანის დაკვირვებას დასავლეთსა და კავკასიაში პოლიტიკური პარტიების სისტემების შედარებაზე მისი სტატიიდან, რომელიც ამავე წიგნშია გამოქვეყნებული. ისკანდარიანის თქმით, პოლიტიკურ პარტიებს სამხრეთ კავკასიაში არ გააჩნიათ ძლიერი იდეოლოგია და სტრუქტურები მთელი ქვეყნის მასშტაბით. ისინი ძირითადად ქარიზმატულია და ინდივიდუალური პოლიტიკური ლიდერის პიროვნულ თვისებებს ეყრდნობა. ლიდერის წასვლამ პარტიის დასუსტება და, შესაძლოა, დაშლაც კი გამოიწვიოს. ამის საპირისპიროდ, დასავლეთში პოლიტიკური პარტიები ძლიერ იდეოლოგიას ეყრდნობიან და, მიუხედავად იმისა, რომ ლიდერზე ბევრია დამოკიდებული, ლიდერების გამოცვლა პარტიას არაფერს უშავებს. მართლაც, უფრო ადვილია გამორჩეული ქარიზმის მქონე პოლიტიკოსის მოძებნა, ვიდრე ისეთი ძლიერი პოლიტიკური პარტიის შექმნა, რომელიც საუკუნის მანძილზე იარსებებს, მხარს დაუჭერს ლიდერებს და გარანტი იქნება მყარი პოლიტიკური სისტემის არსებობისა.

ჩემი აზრით, ასეთ განსხვავებას „სტატიკური“ და „პროგრესული“ კულტურების პოლიტიკურ სისტემებს შორის იწვევს (სხვა მიზეზებთან ერთად) მათი ცხოვრების განსხვავებული წესები. ამ შემთხვევაში პოლიტიკური სისტემა კულტურის თავისებურებიდანაა ამოზრდილი. კერძოდ, კავკასიაში ჯგუფური მენტალიტეტის სიჭარბე და პირადულ ცხოვრებაში ინდივიდუალური ავტონომიის ნაკლებობა, შესაძლოა, იწვევდეს მეტ მოთხოვნილებას პოლიტიკოსში (რომელიც თვითონ ასეთ კულტურაშია გაზრდილი), გამოავლინოს ინდივიდუალური ქარიზმა თავის პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში, იქ, სადაც, ოჯახისა და კლანისაგან განსხვავებით, მას აქვს ასეთი ავტონომიის შექმნის ძალაუფლება და პირობები, თუმცა ასეთი ხაზი, შესაძლოა, ხელს უშლიდეს იმ ჯგუფური იდეოლოგიის გატარებას პოლიტიკაში, რომელიც ძლიერი პოლიტიკური პარტიების სისტემის ჩამოყალიბების საწინდარია.

დასავლური ცხოვრებისათვის დამახასიათებელი სუბკულტურები ცალკეულ ადამიანებს აძლევს იმის საშუალებას, რომ განავითარონ ინდივიდუალური ავტონომია, მაშინ როცა წინაპრების ტრადიციული მემკვიდრეობა ასეთ საშუალებას ნაკლებად იძლევა. ეს კარგად იხსნება იმით, რომ იმ ქვეყ-

ნებში, სადაც სამოქალაქო საზოგადოება ნაკლებადაა განვითარებული, პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება ნაკლებადაა გამიჯნული ერთმანეთისაგან და ჯგუფური მენტალიტეტი და იერარქია უველგან იჩენს თავს. რა თქმა უნდა, სუბკულტურები და ლიბერალიზმი შესაძლოა კავკასიაშიც განვითარდეს დროთა განმავლობაში.

არც ისე უნდა დავინახოთ ვითარება კავკასიაში, თითქოს აქ ტრადიციისა და ეროვნული მეობის გარდა არაფერს არ ექცევა უურადლება. უფრო მეტიც, ტრადიცია დღეს ხშირად პრაქტიკულად გამოიყენება საერთაშორისო პოლიტიკური და კულტურული აღიარებისათვის. ფოლკლორისა და, ზოგადად, ადგილობრივი კულტურის გამოფენებისა და დღეების მოწყობა სწორედ ამ მიზანს ემსახურება, თუმცა კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება, თუ რამდენადაა შესაძლებელი კულტურითა და ტრადიციებით პოლიტიკური პოზიციების გამაგრება, გარდა ეროვნული მეობისა და სიამაყის შენარჩუნებისა, მაგრამ არც ეს უკანასკნელია ცოტა პატარა ერებისათვის. ნაციონალიზმის „კავკასიური“ ვარიანტი შეიძლება განისაზღვროს როგორც კულტურული ნაციონალიზმი, რაც ახლოსაა „კულტურული ინტიმურობის“ იდეასთან (ჰერცფელდის ტერმინია [ჰერცფელდი 1997:14]). ეს ისეთი ტიპის ნაციონალიზმია, რომელიც ქმნის კულტურული ინტიმურობის შეგრძნებას ეთნიკური ჯგუფის წევრებს შორის და რომელიც საერთო წინაპრებისაგან გადმოცემული წეს-ჩვეულებების შენარჩუნების საფუძველზე უალიბდება. ზოგიერთმა, შესაძლოა, კითხვის ნიშნის ქვეშ დასვას ასეთი „ინტიმურობა“, რადგან ის შეგრძნებაა და არა პოლიტიკური სტრუქტურა, მაგრამ „ინტიმურობა“ არის რეალური სინამდვილე და ამის უარყოფა არ შეიძლება. სწორედ ასეთი ეთნიკურ-კულტურული ინტიმურობით განსხვავდება კავკასიური ნაციონალიზმი დასავლეთის ნაციონალიზმებისაგან.

არსებობს მოსაზრება და სურვილი, რომ კულტურული ნაციონალიზმი განზავდეს და გაწონასწორდეს ალტერნატიული ნაციონალური სენტიმენტით: „მცდელობით შეუერთდეს ცივილიზებულ მსოფლიოს, როგორც სრულუფლებიანი და თავმოყვარე წევრი“<sup>2</sup>. მიუხედავად იმისა, რომ პრაგმატული მიდგომა და დემოკრატიის (და ლიბერალური სტილის დემოკრატიის) აშენების საჭიროება არსებობს, ნაციონალიზმი, რომელიც ხალხის კოლექტიურ მეხსიერებაზეა აგებული, დღეს რეალობაა კავკასიაში. ძლიერი პოლიტიკური და ეკონომიური საფუძვლების გარეშე უფრო მოსალოდნელია, რომ კულტურული ნაციონალიზმი კავკასიის ბევრი ხალხისათვის ცივილიზებულ მსოფლიოში თანასწორი და საამაყო ადგილის დაკავების ერთ-ერთი საშუალება იყოს.

2 Nodia, Ghia. Rethinking nationalism and democracy in the light of post-communist experience. [http://www.crvp.org/book/Series04/IVA-7/chapter\\_i.htm](http://www.crvp.org/book/Series04/IVA-7/chapter_i.htm)



\* \* \*

წიგნის პროექტის თავდაპირველი მიზანი იყო კავკასიის მთელი რეგიონის მკვლევრების ჩართვა. მიუხედავად ამისა, უმეტესი ნაწილი სტატიებისა ეძღვნება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს – სომხეთს, აზერბაიჯანსა და საქართველოს. მხოლოდ ტამარა მაზაევას და ალა სოკოლოვას სტატიები შეეხება ჩრდილო კავკასიის ხალხებს – ჩეჩნებსა და ადიღეელებს. აფხაზეთის წარმომადგენლის მოძებნა საკმაოდ ძნელი იყო და, ბოლოს, როდესაც მოიძებნა, მან ოჯახური მიზეზების გამო ვერ მიიღო მონაწილეობა წიგნის პროექტში. უნდა ითქვას, რომ ჩრდილო კავკასიის სპეციალისტების მოძებნა და მოზიდვა იმითაც არის გაძნელებული, რომ ისინი რუსეთის ფედერაციას ეკუთვნიან და, ამის გამო, საერთაშორისო მეცნიერებისა და პოლიტიკისაგან შედარებით იზოლირებულები არიან. სამხრეთ კავკასიის კულტურებსა და პოლიტიკაზე კი ბევრი უცხო სპეციალისტი მუშაობს, რადგანაც ეს კულტურები შესწავლისათვის უფრო ხელმისაწვდომია.

ახლა რაც შეეხება თვით წიგნში განხილულ თემატიკას. როგორც დასაწყისში აღვნიშნე, წიგნში შესული სტატიები ეკუთვნის პოლიტოლოგიის, ანთროპოლოგიის, ეთნომუსიკოლოგიის, კულტუროლოგიისა და რელიგიის შესწავლის დარგებს. ამასთან ერთად, თითოეული თავის თემატიკა შეეხება კულტურისა და პოლიტიკის გადაკვეთას. 5 კატეგორიის თემატიკაა წიგნში: 1) პირველი (ისკანდარიანი და ჯონსი) უშუალოდ პოლიტოლოგიური შინაარსისაა და განიხილავს, საკითხს, თუ რა გავლენას ახდენენ ტრადიციული პოლიტიკური კულტურები, ფასეულობები და საგარეო პოლიტიკები თანამედროვე პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსა და ორიენტაციებზე; 2) მეორე (თუითი, ნინოშვილი, სოკოლოვა, კიბი და ციციშვილი) განიხილავს კულტურის პოლიტიკას და იმას, თუ როგორ აისახება პოლიტიკური ატმოსფერო გამომსახველ კულტურაში (ხელოვნებაში); 3) მესამე თემა ეხება ადგილობრივი საზოგადოებების სოციალურ კულტურას და მის როლს ამ საზოგადოებების გადარჩენასა და სიცოცხლისუნარიანობაში (მიულფრიდი, შაჰნაზარიანი და მაზაევა); 4) მეოთხე თემა (მენინგი) განიხილავს თანამედროვე პოლიტიკური მოვლენების ასახვას ეროვნულ და ფოლკლორულ მითოლოგიაში; 5) მეხუთე თემა (სერანო და ჭეიატი) განიხილავს გლობალური და ადგილობრივი რელიგიური ორიენტაციების გავლენას რელიგიურ და ეროვნულ მეობასა და პოლიტიკის განვითარებაზე. ზოგიერთ სტატიაში გამოთქმული დებულება საკამათო იქნება მკითხველისათვის, რაც საგვებით მოსალოდნელია, როდესაც მსგავს თემატიკას ვეხებით ისეთ რეგიონში, როგორც კავკასიაა.

ალექსანდრე ისკანდარიანის სტატია განიხილავს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში სახელმწიფოების მშენებლობის პერსპექტივებსა და სიძნელეებს. ისკანდარიანის სტატიაში მითითებულია, რომ ეს ერები თანამედროვე სახელმწიფოებრიობის მშენებლობის ადრეულ ეტაპზე იმყოფებიან და მათ

ჯერ ვერ განუსაზღვრავთ თავიანთი, როგორც ევროპასა და აზიას შორის მყოფი ერების, ნაციონალური ინტერესები და როლი. ავტორის მიხედვით, დასავლეთზე ორიენტაცია არ შეიძლება იყოს ამ ქვეყნების ერთადერთი გამოსავალი და მათ ერთმანეთთან და მეზობელ ქვეყნებთან მეტ ინტეგრაციას უნდა მიაღწიონ.

სტივენ ჯონსი განიხილავს საქართველოს პოლიტიკურ კულტურაში არსებულ ფასეულობებს. ის განასხვავებს ოთხ პარადიგმას საქართველოს პოლიტიკურ კულტურაში: რელიგია, ორიენტაცია დასავლეთისაკენ, პანკავკასიური ერთობა და ასოციაცია რუსეთთან. ეს პარადიგმები ეროვნული მეობის თავისებურებებიდან გამომდინარეობს და გავლენას ახდენს საქართველოს მიერ სხვა ქვეყნების აღქმასა და ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე. ბევრ შემთხვევაში ეს პარადიგმები არ ამოიზრდება პრაგმატიზმიდან, მაგრამ ისინი რეალურ გავლენას ახდენენ ქართულ მეობაზე. ისკანდარიანის და ჯონსის ნაშრომები აუცილებლად გასათვალისწინებელია კავკასიის პოლიტიკურ კულტურაში გარეშე ძალების (ამერიკის შეერთებული შტატები და რუსეთი) როლზე და კავკასიის ერების დამოუკიდებელი განვითარების შესაძლებლობაზე საუბრისას.

წიგნის მეორე თემას, კულტურის პოლიტიკას, ხუთი თავი ეძღვნება (თუითი, ნინოშვილი, სოკოლოვა, კიპი და ციციშვილი). კიპი და სოკოლოვა მსჯელობენ კულტურაში სახელმწიფოების ჩარევის შემთხვევებზე, ძალადობაზე და იმაზე, თუ როგორ აისახება სახელმწიფოებრივი ძალადობა ხალხის კულტურულ ცხოვრებაზე. ნატაშა კიპის სტატი ეხება სომხეთის დუდუკის და ახერბაიჯანის ანალოგიური საკრავის – ბალაბანის პოლიტიკურ ასოციაციებზე ხალხის ისტორიულ მენსიერებასა და ომებთან, ამ შემთხვევაში უარაბალის ომთან. სტატიაში ხაზგასმულია ის მომენტი, რომ იუნესკოს ოფიციალური დეკლარაცია დუდუკის სომხურ სულიერ მემკვიდრეობად გამოცხადების შესახებ ახერბაიჯანელ და სომეხ ხალხებს შორის კონფლიქტურ სიტუაციას ქმნის, რადგან ორივე ერს ეს საკრავი თავის ეროვნულ მემკვიდრეობად მიაჩნია. ალა სოკოლოვა განიხილავს საბჭოთა კულტურული და ეთნიკური პოლიტიკის გავლენას დასავლეთ ადიღელების (ჩერქეზების) საკრავიერ მუსიკაზე და რეგიონალური სტილების ჩამოყალიბებაზე.

ქვეინ თუითი და ლორენ ნინოშვილი განიხილავენ არქაული მუსიკისა და პოეზიის ფორმებს და მათ გარდასახვასა თუ მისადაგებას თანამედროვე ნაციონალურ და ტრანსნაციონალურ გარემოცვასთან. თუითის სტატიაში, როგორც უკვე ვახსენე, განხილულია იავნანას სიმღერის განვითარება ძველი სადიდებლიდან სამკურნალო ჟანრისაკენ, დღეს კი იავნანა ზოგჯერ სოციალურ-პოლიტიკური კომენტარის როლს ასრულებს. თუითის მიერ მოყვანილ იავნანაში მთქმელები კომენტარს უკეთებენ ქვეყანაში გაბატონებულ სიდუხჭირეს და იმედებს ამყარებენ ახლად არჩეულ (სიმღერების ჩაწერის პერიოდში) პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილზე. ნინოშვილი იკვლევს ქართულ მრავალხმიან სიმღერას თანამედროვე გლობალიზაციის კონტექსტში და,

კერძოდ, თუ როგორ გამოიყენება ქართული სიმღერისათვის დამახასიათებელი გლოსოლოგიები ქართულ ჯაზ-ფოლკ სინთეზში. მკვლევარი განიხილავს ქართული ტრადიციული მუსიკისა და დასავლური როკისა და ჯაზის შერწყმას, როგორც ქართული ტრადიციული მუსიკალური მეობის გლობალური მსმენელისათვის მიწოდების საინტერესო გზას, რადგან ასეთი განზავება და კონკრეტულ შინაარსს მოკლებული ტექსტების, ანუ გლოსოლოგიების გამოყენება უფრო მისაწვდომს ხდის ქართულ მუსიკალურ ფოლკლორს უცხოელი მსმენელისათვის. ნინო ციციშვილის სტატია ეხება ქართულ როკში გენდერთან დაკავშირებული იდეოლოგიების არსებობას. გოგონათა როკ-ანსამბლ „ემბრონის“ მაგალითზე ავტორი შეეცადა ეჩვენებინა საპირისპირო გენდერული პარადიგმები ქალთა როკში და მის ეთნოგრაფიულ გარემოცვაში, აგრეთვე, ზოგადქართულ და საერთაშორისო გენდერულ იდეოლოგიებთან ურთიერთმიმართებაში.

მესამე თემა შეეხება სოციალურ კულტურას, როგორც გადარჩენის საშუალებას. ფლორიან მიულფრიდის და ნონა შაჰნაზარიანის სტატიები შეეხება ეკონომიკისა და ოჯახის ტრადიციულ ფორმებს და მათ როლს გზაუფის გადარჩენაში. ფლორიან მიულფრიდი ხაზს უსვამს თუშებში მომთაბარეობის ეკონომიკის ტიპს და ახასიათებს მას, როგორც მობილურობას დროსა და სივრცეში. ის გვთავაზობს „კულტურული რეზერვების“ იდეას, რომელიც დაეხმარა თუშებს როგორც სოციალისტურ, ასევე სოციალიზმის შემდგომ პერიოდებში. თუშების ეკონომიკური გადარჩენის სტრატეგიის კერძო შემთხვევის საფუძველზე მიულფრიდი თვლის, რომ სოციალიზმსა და პოსტსოციალიზმს შორის მკვეთრი ზღვარი არ ყოფილა: თუშები მომთაბარეობის სტრატეგიას იყენებენ დღესაც, გლობალიზაციის პირობებში და უფრო დიდ სივრცეებსა და დროში მოგზაურობენ, ვიდრე ადრე.

ნონა შაჰნაზარიანი იკვლევს ომის შემდგომ ყარაბაღში გენდერის, ოჯახისა და ეროვნების იდეოლოგიების ურთიერთმიმართებას. მისი გამოკვლევით, ომმა და ომის შედეგად შექმნილმა გაჭირვებამ უზიძგა სოფლის მოსახლეობას, დაბრუნებოდა ოჯახის ტრადიციულ კოლექტიურ სტრუქტურებს. ეთნიკურ-ნაციონალური სენტიმენტი გაიგივებულია ტრადიციონალიზმთან, რაც ლიბერალურ დემოკრატიას და ამ შემთხვევაში ქალთა უფლებების განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებს. ტამარა მაზაევა გლობალიზაციის უნივერსალურ საკითხს განიხილავს ჩეჩენთა მეობის საკმაროდ რთულ მაგალითზე. სტატია სვამს კითხვას, თუ რამდენად არის მისაღები დასავლური სტილის დემოკრატია ჩეჩნებისათვის და, ამ მხრივ, ეხმარება წიგნში წარმოდგენილ კონცეფციას პროგრესულ-სტატიკური, პრაგმატულ-არაპრაგმატული საზოგადოებების ურთიერთობაზე. იხადება კითხვა: რატომაა შეუძლებელი (ან არის თუ არა ეს შეუძლებელი) დასავლური სტილის დემოკრატიის დამკვიდრება კავკასიის ხალხებში, კერძოდ, ჩეჩნებში?

მეოთხე თემას მხოლოდ ერთი სტატია ეძღვნება და ის შეეხება ახალი ნაციონალური და ფოლკლორული ნარატივების წარმოქმნას თანამედროვე

პოლიტიკის პირობებში. იმ ქვეყნებში, სადაც ფოლკლორს და მითოლოგიას საკრალური მნიშვნელობა აქვს და გარკვეულ გავლენას ახდენს პოლიტიკური ელიტების იდეოლოგიებზე, ახალი ფოლკლორული ნარატივები იქმნება ძველების საფუძველზე. პოლ მენინგის სტატია იკვლევს „ტერორის ფოლკლორს“ თუშეთის პანკისის ხეობაში, სადაც ჩეჩნების პატარა ეთნიკური ჯგუფი – ქისტები ცხოვრობენ. მათ რუსეთ-ჩეჩნეთის ომის შემდგომ შეუერთდნენ ჩეჩენი ლტოლვილები. „ტერორის ფოლკლორი“ არის შიში იმის წინაშე, რომ გლობალური ისლამისტური პოლიტიკური მოძრაობის გავლენით მაჰმადიანი ჩეჩნები გააძლიერებენ ვაჭაბიზმის ტენდენციებს ქრიტიანულ და დასავლეთზე ორიენტირებულ საქართველოში. მენინგი მიუთითებს, რომ „ტერორის ფოლკლორი“ არ არის მხოლოდ საქართველოსათვის დამახასიათებელი. „ტერორის ფოლკლორი“ აგრეთვე ასახავს დასავლეთში გაბატონებულ სახელმწიფოებრივ (პროსახელმწიფოებრივ) ტენდენციას, რომელიც ნაციონალური ინტერესებისა და საერთაშორისო მშვიდობის საბაზით ამართლებს სახელმწიფოებრივ ძალადობას თავის საკუთარ მოქალაქეებზე.

წიგნის მეხუთე თემა შეეხება რელიგიურ მეობას. როგორც ჰეიატისა და სერანოს სტატიები გვიმოწმებენ, რელიგიის როლი სოციალიზმის შემდეგ გაიზარდა. ორივე მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია რელიგია და მეობა ნაციონალური პოლიტიკისათვის არასტაბილურ და დაუცველ პერიოდებში. ფარიდე ჰეიატი მსჯელობს იმის შესახებ, რომ დასავლური ორიენტაცია ხელს უშლის აზერბაიჯანში რადიკალური ისლამის განვითარებას. მიუხედავად ამისა, ჰეიატი გვახსენებს, რომ რელიგიურობამ, შესაძლოა, დააბრკოლოს ეკონომიკური და სოციალური პროგრესი, რაც ისევ ეხმიანება წიგნის კონცეფციას და სტატიკურ-პროგრესული საზოგადოებების დილემას. სილვია სერანო განიხილავს ორთოდოქსულ ეკლესიასა და საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა ინტერესებს შორის კავშირებს 1999 წლის გახმაურებული ხელოვნების გამოფენის მაგალითზე. როგორც სერანო მიუთითებს, სოციალიზმის პირობებში ქრისტიანობამ დაკარგა ინდივიდუალურ ცხოვრებაში მორალისა და რელიგიურობის შექმნის როლი და დაუკავშირდა სახელმწიფოს ინტერესებს, რომელიც პოლიტიკურმა პარტიებმა გამოიყენეს თავიანთი მიზნების მისაღწევად.

დასკვნის სახით მინდა აღვნიშნო, რომ *კულტურული პარადიგმები და პოლიტიკური ცვლილებები კავკასიაში* მოიცავს ისეთ ფართო საკითხებს, როგორიცაა თანამედროვე პოლიტიკური და სოციალური მიმართულებები, დემოკრატიის მშენებლობის პერსპექტივები, რელიგიის როლი საზოგადოებასა და პოლიტიკაში, აგრეთვე კულტურის სფეროში მიმდინარე სიახლეები და პროცესები. ფართოდ თუ შევხედავთ პრობლემას, საქმე ეხება გარდამავალ პოლიტიკურ პერიოდს კავკასიაში და ამ გარდამავალ პერიოდში დასავლური და ადგილობრივი არქეტიპული კულტურული და პოლიტიკური მოდელების თანაარსებობისა და ურთიერთობის პერსპექტივებს.

დისკუსიაში გამოყენებულია ისეთი, ერთი შეხედვით, დაპირისპირებული ცნებები, როგორცაა „სტატიკური“ და „პროგრესული“ კულტურები, „პრაგმატიზმი“ და „ანტიპრაგმატიზმი“ იმ იმედით, რომ ეს დაგვეხმარება, კავკასიაში მიმდინარე მოვლენები დავინახოთ უფრო ფართო შედარებითი და დარგთაშორისი კონტექსტის გათვალისწინებით.

### დამოწმებანი

- ბურკი 2004:** Burke, Peter. What is Cultural History? Cambridge: Polity, 2004.
- ვესტი... 2006:** West, Stuart A., Griffin, Ashleigh S., and Gardner, Andy. Social semantics: altruism, cooperation, mutualism, strong reciprocity and group selection. *Journal of Evolutionary Biology*, 20: 415-432, 2007.
- ნოღია 2000:** ნოღია, გია (რედ.). ქართული სუფრა და სამოქალაქო საზოგადოება, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბ., 2000.
- სტავროპოლოსი 1996:** Stavropoulos, Pam. The Politics of Culture. *Social Alternatives*, 15 (2): 33-35, 1996.
- ჯექსონი 2008:** Jackson, Peter. Pierre Bourdieu, the 'Cultural Turn' and the Practice of International History. *Review of International Studies*, 34:155-181, 2008.
- ჰარისონი... 2000:** Harrison, Lawrence & Huntington, Samuel (Eds.). *Culture Matters: How Values Shape Human Progress*. Basic Books, 2000.
- ჰერცფელდი 1997:** Herzfeld, Michael. Cultural Intimacy: Social Poetics in the Nation-State. New York: Routledge, 1997.

ნინო ციციშვილი

*Stephen H. Rapp Jr. Studies in Medieval Georgian Historiography: Early Texts and Eurasian Contexts, Corpus Scriptorum Christianorum Orientalium, vol. 601, vol. 113. 522 gv. Louvain: In Aedibus Peeters, 2003.*

**[სტივენ ჰ. რაპი. უმცრ. კვლევანი შუა საუკუნეების ქართულ ისტორიოგრაფიაში: ადრეული ტექსტები და ევრაზიული კონტექსტი, 522 გვ.]**

ამერიკელი მკვლევრის სტივენ რაპის 522 გვერდიანი მონოგრაფია უდავოდ ერთ-ერთი საყურადღებოა იმ უცხოურ ქართველოლოგიურ ნაშრომთა შორის, რაც კი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ გამოცემულა. ნაშრომის ძირითადი მიზანია გამოიკვლიოს შუა საუკუნეების საქართველოს ურთიერთობა ბიზანტიურ და ირანულ სამყაროსთან და დაადგინოს მისი ადგილი ევრაზიულ სივრცეში. ამისთვის ს. რაპი იკვლევს